

## უწყვეტი და სასრული ვარიაციის ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტები

კარგად არის ცნობილი, რომ კლასიკური ორთონორმირებული სისტემების (ტრიგონომეტრიული, ჰარის, უოლშის,...) მიმართ უწყვეტი ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტები ფასდება უწყვეტობის მოდულით. ზოგადი ორთონორმირებული სისტემის აღნიშნულ შეფასებას ადგილი არა აქვს. ნაშრომში მოყვანილია პირობები, რომლის დროსაც ზოგადი ორთონორმირებული სისტემის მიმართ უწყვეტი ფუნქციის ფურიეს კოეფიციენტები აკმაყოფილებენ კლასიკურ პირობებს.

შესწავლილია სასრული ვარიაციის ფუნქციის ფურიეს მწკრივების კრებადობის საკითხები ზოგადი ორთონორმირებული სისტემების მიმართ. ყოველი ორთონორმირებული სისტემა შეიცავს ქვესისტემას, რომლის მიმართ სასრული ვარიაციის ფუნქციის ფურიეს მწკრივები აბსოლუტურად კრებადია.